გამარჯვებულო რესპუბლიკავ, მიიღე ჯილდო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 49 (18291) კვირა, 28 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ხვალ, 1 მარტს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელზეც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მეცხრედ ზედიზედ გადაეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეცხრედ ზედიზედ

Xერ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლის თავის ზეიმის დღეებში მონოდებად, ლოზუნგად, ბრძნულ დარიგებად გაისმა ქვეყნის გასახარად დღესასწაულზე ჩამობრძანებული საპატიო სტუმრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძის სიტყვები: „იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი".

და აჰა, ახალი დასტური ავტორიტეტისა, — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ზედიზედ მეცხრე დროშით დაჯილდოვდა შრომისათვის, წარმატებული ხუთწლედებისათვის, სამშობლოსათვის თავდადებულობის, პარტიისადმი ერთგულების ესოდენ მკაფიო გამოვლინებისათვის!

ხვალ ჩვენს მოზეიმე დედაქალაქ თბილისში შემობრძანდება ეს საამაყო, გამარჯვებული ქვეყნის რიგით მეცხრე დროშა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მქუხარე ტაშის გრიალში გადაეცემა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს — მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების ხორცშესხმისათვის დიადი სახალხო ლაშქრობის წინამძღოლთ.

მაშ, მოქმედება იყო უფრო თამამი, მუშაობა — კიდევ უფრო შეუპოვარი, როგორც ამას გვარიგებდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, და კვლავაც ამაღლდა საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი — ოთხგზის ორდენოსანი, ცხრაგზის წითელდროშოვანი რესპუბლიკის ავტორიტეტი. შეუძლებელია სხვანაირად, უფრო უკეთესად შეაფასოს და გააანალიზოს კაცმა ასეთი გამარჯვებების არსი, ვიდრე ეს მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის რესპუბლიკის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში: „...და ყველაფერს, რასაც ამ დროში მიაღწია ოთხგზის ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ, რომელსაც ზედიზედ რვაჯერ მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშები, კომუნისტები, ყველა მშრომელი, მთელი ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდნენ ჩვენს პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს".

ჭეშმარიტად ფასდაუდებელი და გრანდიოზული როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ აღორძინებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებულმა ისტორიულმა დადგენილებამ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რომლის ათი წელი სულ ახლახან აღინიშნა ფართოდ, და შემდეგდროინდელმა სხვა ფუნდამენტურმა გადაწყვეტილებებმა ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე. საქართველოს მშრომელებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ის ფაქტი, რომ ოთხი ორდენიდან ორი — ბოლო — ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენები — სამშობლოს ეს უმაღლესი ჯილდოები ლეონიდ ილიას ძემ მიაბნია გამარჯვებული საქართველოს დროშას. და იმ გამარჯვებებში, იმ შრომითს პათოსში, დღეს რომ სუფევს, დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ბრეჟნევი დაუმეგობრდა საქართველოს, ჩვენს მშრომელ ადამიანებს.

წითელი დროშებით დაგვირგვინებული მეათე ხუთწლედის დიდებული ესტაფეტა საიმედო ხელში გადავიდა — მეთერთმეტე ხუთწლედის გამარჯვებათა პირველი მერცხალიც შემოფრინდა — ხვალიდან ჩვენთან დაიდებს ბინას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების წითელი დროშა. ეს უკვე ჭეშმარიტი გვირგვინია იმ გრანდიოზული შრომისა, საქართველომ თავისი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით რომ გასწია ბოლო ათი წლის მანძილზე, ათი წლისა, ოქროს პერიოდად რომ არის ჩაწერილი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ეს დროშა საქვეყნოდ დასანახი და საგრძნობი ნაყოფია იმ ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობისა, რომელსაც შეუპოვრად და თანამიმდევრულად ეწევიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე — სოციალისტური შრომის გმირი, შრომისა და ბრძოლის ტრადიციებზე საქართველოს მშრომელთა აღმზრდელი და დამრაზმველი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწეობით, ხალხის თანდგომით კვლავაც წინ გაიყვანს რესპუბლიკას თავის ახლო და შორეულ პერსპექტივაში. ამ წინსვლაში, ბუნებრივია, არის დროებითი სიძნელეებიც, მაგრამ კომუნიზმის იდეებით შთაგონებული ხალხი ჩვეული დიდსულოვნებით არ შეუშინდება, დაძლევს მას, რადგან მტკიცედ სწამს, რომ აუცილებლად ხორცს შეისხამს პარტიის მიერ მტკიცედ დაპროგრამებული სოციალური წინსვლა და პროგრესი.

მესამე დღეა, ქართველმა ხალხმა იზეიმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სამოცდამეერთე წლისთავი. ხვალ ახალი ზეიმია — გამარჯვებული რესპუბლიკის კიდით კიდემდე დედაქალაქში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თავს მოიყრიან შრომისა და ბრძოლის მოწინავე ადამიანები — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, რათა ჩაიბარონ რიგით მეცხრე წითელი დროშა, ჩვენი კიდევ უფრო წინსვლის სიმბოლო, იმისათვის მომწოდებელი, რომ ფართოდ გაშალონ შეჯიბრება ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია იწონებენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა მოწინავე კოლექტივების ინიციატივას ქვეყნის სახელოვანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, ხუთწლედის ორი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გასაშლელად.

ზეიმობენ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებული საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, ქალაქები ქუთაისი და თბილისი, ბოგდანოვკის, გურჯაანის, მახარაძის რაიონები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე შეტანილი, აგრეთვე რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შრომითი კოლექტივები. მაგრამ ეს როდი იძლევა თვითდამშვიდების, თვითკმაყოფილების საბაბს. ჩვენ წინაშე გადაშლილია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ახალი ჰორიზონტები. პარტიის კურსი ხომ ითვალისწინებს მეთერთმეტე ხუთწლედის წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდას. ეს კი შეუპოვარ, თავდადებულ შრომას მოითხოვს თითოეული შრომითი კოლექტივისაგან, ყოველი მშრომელისაგან. ამ შრომას კი საფუძვლად უდევს დიადი სამშობლოს გრძნობა, სამშობლოსი, უახლოესი და ძვირფასი რომ არის მისი ყოველი პატრიოტი მოქალაქისათვის, იმის შეგნება, რომ სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი მშრომელი ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული და რომ ჩვენი შრომა ულრუბლო ცისა და მშვიდობიანი შენების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. ამიტომაც ჩვენი ვალია ვამრავლოთ წარმატებები შრომაში სამშობლოს კეთილდღეობისათვის, სამშობლოს ძლიერებისათვის. სამშობლო კი ძლიერია თავისი მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის გულით, სიმდიდრით, ნიჭით, შემოქმედებითი შრომის გაქანებით.

დიდება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ოთხგზის ორდენოსან, ცხრაგზის წითელდროშოვან მშენებელ და ამაღლებულ საქართველოს!

მხურვალე სალამი საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ შრომითს კოლექტივებს!

ჰიმნი შრომისა

მხატვარ ზ. ცინცაძის პლაკატი

დავულოცოთ მარჯვენა!

ცალლასავით გადაუარა საბჭოთა საქართველოს ცნობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი გამარჯვების შესახებ. სიხარულმა და სამართლიანი სიამაყის გრძნობამ მოიცვა ყველა. მართლაც, ეს ხომ საყოველთაო-სახალხო გამარჯვებაა. ზეიმობს ამიერი და იმიერი, საქართველო მთლიანად. აბა, რა შეედრება იმას, როცა კაცის თავდადებული გარჯა უხვ ნაყოფს გამოიღებს. მაშვრალს შრომას დაუფასებს, დაგლოცავს და გაგახარებს.

და ხარობს მევენახე, მებაღე და მხენელ-მოთესველი, მეჩაიე, მეციტრუსე, მეცხოველე, ქარხნის მუშა, მეშახტე და მშენებელი, მეცნიერი, მწერალი და ხელოვანი. ყველა, ყველა, ვინც კი ჩვენში შრომით თავი იხახელა. ამ გამარჯვებას ფასი კიდევ იმით ედება, რომ წელი იყო რთული, დაძაბული. უამინდობა ხათუოს ხდიდა უხვი მოსავლის მიღებას. მართლაც, რაოდენ შეუპოვარი იყო ბრძოლა მოსავლის გადასარჩენად. ეს ყველამ იცის, ეს ყველას ახსოვს. ადამიანის მონდომებამ, გარჯამ სძლია სტიქიას. სწორედ ასეთ მოგებულ ბრძოლას შეიძლება მიესადაგოს პოეტის სიტყვები: ჩვენ გავიმარჯვეთ, ხარობს ქვეყანა!

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ რესპუბლიკის მშრომელთა ცალკეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც სხვებთან ერთად მუყაითი გარჯით დიდი წვლილი შეიტანეს საერთო წარმატებათა მოპოვებაში (ზევით, მარცხნიდან): თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე; ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის „გამარჯვების" სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. დადიანი; გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. ბურდიაშვილი; მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. თალაკვაძე; (ქვემოთ) ტყვარჩელის ლაკობას სახელობის მაღაროთსამმართველოს მეშახტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კვიციანი; კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბუთხუზი; ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. ქილეხსაევი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მოწინავე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე.

ვ. გენზიურის ფოტო.



ხარისხი— მთავარი საზრუნავი

თბილისის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. იგი ჩვიდმეტჯერ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და დარგის პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე სპეციალური დიპლომით, მაგრამ მიღწეულით როდი ვკმაყოფილდებოდით. განსაკუთრებულ შრომით გამარჯვებას მივაღწიეთ შარშან, რისთვისაც დავიმსახურეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

დიდად გაგვახარა ჩვენი რესპუბლიკის შარშანდელი შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებამ. ჩვენი ფაბრიკა მაღალი კულტურის საწარმოა, აქ ბევრი რამ გაკეთდა და კვლავ გაკეთდება წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ე. ირემაშვილი,

მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შარშანდელზე უკეთესად გავირჯებით

დროშას, გამარჯვების დროშას დიდი ძალა, მშრომელთა მორალური აღზევების ძალა აქვს. ამ საპატიო ჯილდოს მიღება, ისიც ზედიზედ მეცხრედ, დიდი დაფასებაა იმ ენერგიული შრომისა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა გასწიეს. უფრო მეტად გვეამაყება დროშის მიღება, როცა გამარჯვებულთა შორის შენცა ხარ, როცა პირადი წვლილიც საკმაოდ არის. აქ მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენი ფაბრიკის კოლექტივიც დაჯილდოვდა რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც შარშანდელი შრომითი მაჩვენებლებისათვის დავიმსახურეთ.

გარდამავალი წითელი დროშის მიღება იმას ნიშნავს, რომ მიღწეული არ იკმარო და ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის დღენიადაგ იბრძოდე. ამიტომ გადავწყვიტეთ, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელი უფრო უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავროთ. ეს ჩვენ გვავალებს, რომ წლეულს შარშანდელზე მეტი გავაკეთოთ. წელს გეგმის გადამეტებით დიდძალ პროდუქციას მივყიდით სახელმწიფოს, ყველაფერს ვიღონებთ, რათა მშრომელებს მივცეთ რაც შეიძლება კარგი ხარისხის ფრინველის ხორცი.

მიმდინარე წლის ორი თვე თითქმის გავიდა. შემიძლია გაბედულად ვთქვა, რომ ჩვენს ფაბრიკაში საქმე კარგად მიდის და, იმედია, წარმატებით დავამთავრებთ სამეურნეო წელს.

მ. მდივანი,

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

ვიტყვით და შევასრულებთ

მთელი გულით გაგვახარა ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ მეცხრედ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებამ. ვამაყობთ, რომ ამ დიდ გამარჯვებაში ჩვენც, ტყიბულელმა მეშახტეებმაც შევიტანეთ მნიშვნელოვანი წვლილი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სამშობლოს მაღალი ჯილდო მეტს გვავალებს და ამიტომაც გადავწყვიტეთ ახალი მიჯნები დაგვესახა. ამ მიზნით ბრიგადის წევრები რამდენიმე დღის წინათ სათათბიროდ შევიკრიბეთ. ბევრჯერ ავწონ-დავწონეთ, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ჩვენი შესაძლებლობები და მივედით იმ დასკვნამდე, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულებას სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების მეხუთე წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის შევძლებთ.

ი. ბუხრაშვილი,

ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

გვისხმოეს „წითელი შაბათობა"

თბილისი: ქარხანა „გაზაპარატის" კოლექტივი თბილისის სამრეწველო საწარმოთა შორის ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას — 17 აპრილს მოაწყონ ლენინური კომუნისტური შაბათობა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს „წითელი შაბათობის" დღეს მიაღწიონ უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას და გამოუშვან 20 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ დღეს მთელ პროდუქციას პირველი წარდგენით ჩააბარებენ. საწარმოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნედლეულისა და მასალების დაზოგვას. შაბათობის დღეს პროდუქციის ნაწილს დაზოგილი ნედლეულით გამოუშვებენ.

ქარხნის კოლექტივი აპირებს ამ დღის მაღალი მაჩვენებლები მუშაობის ყოველდღიურ ნორმად აქციონ.

ცხინვალი: ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა გადაწყვიტეს შრომის დღესასწაულის დღეს მიაღწიონ უმაღლეს ნაყოფიერებას. ისინი გამოუშვებენ 60 ათასი მანეთის შეკერილ ნაწარმს, აქედან 26 ათასი მანეთისას — დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქცია მისი საერთო მოცულობის 35 პროცენტს აღემატება, ნარჩენებისაგან დამზადდება 5 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

ლენინური შაბათობისათვის მზადების დღეებში დამთავრდება დაბა კვაისის ფაბრიკის ფილიალის სამკერვალო საამქროში დიდმწარმოებლური აგრეგატების დადგმა.

ფოთი: საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში მოსკოველთა თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პირველი და მეორე საწარმოო რაიონების დოკერებმა. მათ პირობა დადეს, რომ 17 აპრილს პირდაპირი ვარიანტით „გემი-ვაგონი" გადაამუშავებენ ტვირთის საერთო მოცულობის 25 პროცენტს. ნავსადგურის მუშებმა ვალდებულება იკისრეს თავიანთ ზეგეგმით ანგარიშზე ჩაწერონ დაახლოებით ათასი ტონა ტვირთი.

გადაწყვეტილება, რომ სატვირთო ოპერაციებისათვის გემების მოცდენა 6 პროცენტით შეამცირონ, შესაძლებლობას მისცემთ დაზოგონ მნიშვნელოვანი სახსრები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტში

მზრუნველობა არ მოვაკლოთ მომჭირნეობას

ახალი დებულება თბილისის საწარმოთა შორის მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის შეჯიბრების შესახებ

იოლი საქმე როდია დავეუფლოთ მომჭირნეობის მეცნიერებას, გამოვიჩინოთ ყაირათიანობა დიდსა თუ მცირეში და, რაც მთავარია, მივაღწიოთ მთლიანად სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. და არა მარტო გამოვიჩინოთ მომჭირნეობა, არამედ გავიმარჯვოთ კიდეც მომჭირნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ" ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში შრომითს კოლექტივებს მიზნად დაუსახა ბრძოლა ნედლეულის, მასალების, სათბობის, ინსტრუმენტების, სამუშაო დროის, ხალხის ფულის ხარჯვისადმი ნამდვილად ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში არ დარჩენილა არც ერთი საწარმო, ამ პატრიოტულ მოძრაობაში რომ არ ჩაბმულიყო. მაგრამ ყოველი კოლექტივი, რომელიც ჩაება შეჯიბრებაში დევიზით „მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის", ხელმძღვანელობდა დროებითი დებულებით, რომელიც არ შეიცავდა ამ მიმართულებით საქმიანობის შეფასების მთლად მკაფიო კრიტერიუმებს, შეჯიბრების შედეგების შეჯამების ზუსტ სისტემას.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიამ შეიმუშავა დებულება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ქალაქ თბილისის რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. მისი მიზანია ქალაქის შრომითი კოლექტივებისა და რაიონების შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფა XXVIII საქალაქო კონფერენციის დევიზის შესაბამისად: ფართოდ გავაჩაღოთ მეთერთმეტე ხუთწლედში შეჯიბრება ნედლეულის, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე და ყაირათიანი გამოყენებისათვის.

ახალი დებულების მიზანი სავსებით ცხადია: მაღალი მაჩვენებლების მიღწევა ლითონის, ელექტროენერგიის, სათბობის, თბოენერგიის, ცემენტისა და ხე-ტყის დაზოგვაში. ყოველ კვარტალში, ექვს და ცხრა თვეში და წლიურადაც შეჯამდება შეჯიბრების შედეგები, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს მოიცავს. შეჯიბრების შედეგების შეჯამებისათვის მაჩვენებლები უნდა იქნეს შეტანილი შესაბამის ფორმებში, დაერთოს განმარტებითი ბარათები და წარდგენილი იქნეს ქალაქის სტატისტიკურ სამმართველოში საანგარიშო კვარტალის შემდგომი თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა. შემდეგ სტატისტიკოსების მიერ დამუშავებული მასალები გაეგზავნება სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიას. კომისიის მიერ შეჯამებული შედეგები დამტკიცდება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ საქალაქო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

გამარჯვებული რაიონი დაჯილდოვება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. რაიონები, რომლებიც მეორე და მესამე საპრიზო ადგილებს დაიკავებენ, აღინიშნებიან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის დადგენილებით.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის შეჯიბრების შედეგების შეჯამების ახალი სისტემა აგებულია შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობის ობიექტურ შეფასებაზე. ამიტომ ახლა პარტიის რაიკომებს, რაიაღმასკომებს, საწარმოებისა და გაერთიანებების პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებისა და უწყებების აპარატებს მოეთხოვებათ ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობა მოძრაობაში დევიზით „მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის".

თბილისელებმა, რომლებსაც არაერთხელ გამოუჩენიათ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გამიზნული ბევრი კეთილშობილური თაოსნობა, შეიძინეს კარგი სახელმძღვანელო, რათა კიდევ უფრო განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება და უკეთ დარაზმონ შრომითი კოლექტივები, უკეთ გაუწიონ კოორდინაცია მუშაობის ყველაზე ეკონომიური მეთოდებისა და ხერხების მიზანმიმართულ ძიებაში. (საქინფორმი).



გვატყობინებენ საქინფორმისა და ჩვენი კორესპონდენტები

ზეიმობს მშრომელი აჭარა!

აჭარის დედაქალაქ ბათუმის მოედნები და ქუჩები შემკულია დროშებით, ალისფერი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით. შენობის ფასადებზეა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის, სკკპ ცენტრალური ... მში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ამხ. გ. ვ. კო...

... შეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

საპასუხო სიტყვაში ვ. რ. პაპუნიძემ აჭარის ყველა მშრომელის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს ...

... სპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. უნგიაძემ.

დამსწრეთ უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუ...

... დროშას გადასცემს აჭარის ასსრ მშრომელთა წარმომადგენლებს, უსურვებს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს ახალ შრომით მიღწევებს, ახალ გამარჯვებებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ...

... გრძნობენ საქართველოს და მისი განუყოფელი ნაწილის — აჭარის მშრომელები.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დამკვრელური შრომისათვის

სამშობლოს მაღალ ჯილდოს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას მეხუთედ იღებენ სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმე...

... თვიური შემოსავალი 270 მანეთამდე გაიზარდა.

...სადღესასწაულოდ არის მორთული სოფელი ტყვიავი. აქ ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე თავი მოიყარეს არა მარტო ტყვიავე...

ტყვიაველთა სახელით გამოვიდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ჩიხლაძე, რომელმაც მხურვალე მადლობა მოახსენა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

საზეიმო კრებაზე გამოვიდნენ პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი, კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ე. კაპანაძე, ძევერის საბჭოთა მეურნეობის დი...

სათესი მანქანები მინდვრად გაიყვანეს

... ვრად იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა. მიწათმოქმედები ახლა დროს წუთებით ანგარიშობენ, ისინი საგაზაფხულო თესვას შეუდგნენ. როგორი ყანები, მოსავალი იქნება 1982 წელს? ამას ბევრად განსაზღვრავს თესვის პირველი დღეები, მუშაობის ხარისხი. თესვის დაწყებაზე გვიამბობს საქინფორმის კორესპონდენტების მასალების შენარჩევი.

წითელწყარო. მინდვრებში სათესი მანქანები პირველებმა გაიყვანეს სოფლების ჯაფარიძის, ზე...

... და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა. ისინი შვრიის თესვას შეუდგნენ. მთელი თესლი პრაქტიკულად უმაღლესი და პირველი ხარისხისაა. ეს კულტურა მთელ რაიონში სამას ჰექტარზე მეტ ფართობს დაიკავებს.

— ჩვენი ამოცანაა, — გვაცნობეს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში, — თესვის მთელი სამუშაოები შემჭიდროებულ ვადებში — არა უმეტეს 10-12 დღეში დავამთავროთ. ამისათვის შექმნილია შესაფერი პირობები: მინდვრის სამუშაოებისათვის მზად არის მთე... მეტი ტრაქტორი, 80 სათესი მანქანა.

უახლოეს ხანში თესვას სხვა მეურნეობებიც შეუდგებიან.

საგარეჯო. შერჩევით თესვას შეუდგნენ უდაბნოს ზონაში განლაგებული მეურნეობები. შვრია დათესეს პირველ 500 ჰექტარზე — ამ კულტურის ნათესების მესამედზე.

მინდორში გასვლას ელის ბევრი ტრაქტორი და სათესი აგრეგატი. ეს ტექნიკა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ თესვა შემჭიდროებულ აგროვადებში დამთავრდეს.

რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა საბჭოების სხდომები

ბაიმართა შუახევის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭოს პირველი ... რომელიც წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფრო... ხ. ვ. წიკლაური, ყვარლისა — ი. ი. ლომიძე, ქედისა — შ. რ. ...

... გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია პარტიის რაიკომის ყოფილი მდივანი გ. დ. ხომხიშვილი.

ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭომ თავის პირველ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ე. ლ. ნიკოლაიშვილი, ... დანოვკისა — ს. ზ. ნაზარიანი, ... ჭამიძე, წულუკიძისა — ზ. შ. ხადარეიშვილი.

საქალაქო სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეული არიან: გაგრისა — ა. ა. ხაზუა, ტყიბულისა — ვ. კ. ხაზვაძე, ფოთისა — რ. ლ. წიგნაძე.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

დღევანდელის ზურბჯე

27 თებერვალი

● პოლონეთი

პლენუმი დამთავრდა

ვარშავა. აქ მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმმა. მან მიიღო გადაწყვეტილება პარტიის განხილველად გამოიტანოს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის იდეური დეკლარაციის პროექტი „რისთვის ვიბრძვით, რას ვესწრაფვით".

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვოზნიაკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩ. კიშჩაკი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. იარუზელსკიმ.

გაეცალეთ სალვადორს!

სალვადორში პროფკავშირულ თავისუფლებათა ჩახშობისა და ხუნტის საზარელ დანაშაულობათა წინააღმდეგ მოსკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი მილების ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეების საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა განცხადება

ჩვენ, მოსკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი მილების ქარხნის მუშები და მოსამსახურეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა შეუნელებელი ყურადღებითა და ღრმა შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს სალვადორში მიმდინარე მოვლენებს.

ბოლო დროს სალვადორის ხუნტამ ამერიკის იმპერიალიზმთან ალიანსით გააძლიერა მასობრივი ტერორი მშვიდობიანი მოსახლეობის, პროფკავშირებისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ ქვეყნის პატრიოტული ძალების სამართლიან ბრძოლას საუკუნოვანი ჩაგვრის წინააღმდეგ, ელემენტარული ადამიანური უფლებებისა და სოციალური სამართლიანობისათვის.

ეყრდნობა რა ვაშინგტონის ადმინისტრაციის სამხედრო და ფინანსურ დახმარებას, პენტაგონის „მრჩეველთა" ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ხუნტა, რომელიც უხეშად თელავს ფეხქვეშ სამოქალაქო უფლებებსა და დემოკრატიულ თავისუფლებებს, სასტიკ რეპრესიებს ახორციელებს მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ, წვავს დაბებს, მასობრივად ბომბავს დასახლებულ პუნქტებს, მხეცურად უსწორდება პროფკავშირულ ხელმძღვანელებსა და აქტივისტებს.

ჩვენთვის, საბჭოთა მშრომელებისათვის, სულ ერთი როდია მშრომელი სალვადორელი ხალხის ბედ-იღბალი. მთლიანად და სავსებით სოლიდარობას ვუცხადებთ მას სამართლიან ბრძოლაში თავისი უფლებებისათვის, უცხოეთის კაპიტალის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ჩვენ, შრომის ადამიანები, მკაცრად ვგმობთ და სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკას, სხვა სახელმწიფოების სუვერენულ საქმეებში თავხედურად ჩარევის პოლიტიკას. ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამერიკის მხედრიონის მოქმედების გამო და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს სალვადორის დანაშაულებრივი ხუნტისათვის სამხედრო და ყოველგვარი სხვა დახმარების აღმოჩენა.

მოვითხოვთ ბოლო მოეღოს საზარელ დანაშაულობებს სალვადორელი ხალხის წინააღმდეგ და ვილაშქრებთ სალვადორში ადამიანის უფლებების დარღვევისა და პროფკავშირული და დემოკრატიული თავისუფლებების ჩახშობის წინააღმდეგ.

სირცხვილი ხუნტის სისხლიან დანაშაულობებს სალვადორში! ამერიკის შეერთებულო შტატებო, გაეცალეთ სალვადორს!

მტკიცედ გვჯერა, რომ სამართლიანი საქმე, რომლისთვისაც იბრძვიან სალვადორელი პატრიოტები, გაიმარჯვებს!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

● საფრანგეთ-დასავლეთ გერმანია

შეხვედრა დამთავრდა

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში დამთავრდა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის შეხვედრა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა განიხილეს ფართო წრის საკითხები, მათ შორის ვაშინგტონის დამღუპველი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთა ურთიერთობის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის, ორმხრივი კავშირურთიერთობისა და სხვა პრობლემები.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ აქ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში მხარეებმა განაცხადეს, „რომ მეტად შეშფოთებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო დისკონტის განაკვეთის მეტად მაღალი დონის გამო, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე". ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი კურსის გამო საფრანგეთმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ განაცხადეს; რომ „გადამჭრელ ზომებს მიიღებენ, რათა წინ აღუდგნენ ასეთ ვითარებას და შეეცდებიან მოიპოვონ „საერთო ბაზარში" შემავალ პარტნიორთა მხარდაჭერა.

მოლაპარაკების მონაწილენი კვლავ შეეცადნენ ჩარეულიყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეებში, მოითხოვეს ამ ქვეყანაში სამხედრო წესების გაუქმება, თუმცა ცხადია, რომ ეს საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის ხელმძღვანელობის კომპეტენციას განეკუთვნება.

აქტუალური ინტერვიუ

ვაშინგტონის „ნულოვანი გადაწყვეტის" მოჩვენებითობა

ახალი ამბების სააგენტოს სამხედრო მიმომხილველის კითხვებს უპასუხებს საბჭოთა სამხედრო ექსპერტი გენერალ-ლეიტენანტი ნ. პეტროვი.

კითხვა: ამერიკის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა თავის წერილში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ" განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „საბჭოთა კავშირს შესთავაზა შორსგამიზნული წინადადებების მთელი ნუსხა, რომლებიც მიზნად ისახავს შეიარაღებული ძალების ორმხრივ შემცირებას". მან აგრეთვე თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები ჟენევაში მოლაპარაკებას ძალის პოზიციიდან უნდა აწარმოებდეს. როგორ განმარტავდით ამ ...

... ბენ ევროპაში ახალ ამერიკულ რაკეტებს. რას ნიშნავს ეს? თუ საბჭოთა კავშირი დათანხმდება სს-4, სს-5 და სს-20 რაკეტების დემონტაჟს, მაშინ მას 500-ზე ნაკლები საშუალო სიშორის რაკეტების მატარებელი დარჩება. ...

... კავშირი მზად არის დაწესდეს მორატორიუმი, რომელიც მოლაპარაკების პერიოდში თავიდან აგვაცილებდა ორივე მხარის მიერ საშუალო სიშორის პოტენციალის ზრდას და შემდგომ სრულყოფას. უფრო მეტიც, სსრ კავშირი მზად არის მორატორიუმის ფარგლებში ცალმხრივად შეამციროს თავისი საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების გარკვეული ნაწილი, რაც ერთგვარად მიგვაახლოებს იმ უმცირეს ციფრს, რომლის თაობაზეც მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მომავლის საქმეა. როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სოცინტერნის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, შეიძლებოდა, მაგალითად, 1990 წლისათვის საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღე...

... შუალო სიშორის, საშუალებათა საკითხში (ნატოს აქვს 986 ერთეული, საბჭოთა კავშირს — 975). რეიგანისეული „ნულოვანი გადაწყვეტის" თანახმად სსრ კავშირმა უნდა მოსპოს არსებული საშუალო სიშორის რაკეტები (სს-4, სს-5 და სს-20) იმ პირობის სანაცვლოდ, რომ აღარ განალაგე...

... ალი სიშორის, ისე ტაქტიკური იარაღზე, ჩვენ მზად ვართ, თუ დასავლეთი უფრო ფართო გადაწყვეტილებისათვის არ მომწიფებულა, იმავე საფუძველზე შევამციროთ საშუალო სიშორის და ტაქტიკური ბირთვული იარაღის მატარებლების რიცხვი. სსრ ...

... ბებს დასთანხმდით, ან თქვენს თავს დააბრალეთო, ეს მხოლოდ იმისათვის კეთდება, რომ ძირი გამოუთხარონ და არა განავითარონ აღმოსავლეთთან ნაყოფიერი დიალოგი.

● თურქეთი

დაპატიმრებანი გრძელდება

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი იუწყება, თურქეთის სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრეს თურქეთში მშვიდობის ...

... „ჯუმჰურიეთის" წამყვანი პოლიტიკური მიმომხილველი ალი სირმენი, თურქეთის პარლამენტის სამი ყოფილი დეპუტატი დათხოვნილი სახალხო რესპუბლიკური პარტიისაგან.

მხატვრის კომენტარი

უახლოეს პერიოდში საბჭოთა კავშირი ევროპის სახელმწიფოებს ბუნებრივ გაზს მიაწვდის ურენგოის საბადოებიდან. თავის მხრივ შეერთებული შტატებიც სთავაზობს ევროპას... რაკეტებსა და მომწამვლელ ნივთიერებათა ახალ იარაღს (გაზეთებიდან).



ვინ რას სთავაზობს ევროპას.

გ. ლომიძის ნახატი.

ჯილდოების გადაცემა

26 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამშობლოს ჯილდოების გადაცემა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს რ. ი. ... ლაძეს, რომელსაც ჯილდო მიენიჭა მეტალურგიის განვითარებაში, მეცნიერთა და ინჟინერთა კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით. ...

... სი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილი.

სრულვყოთ საპროკურორო ზედამხედველობა

რესპუბლიკაში საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობას ადასტურებს სტატისტიკა: გასულ წელს გამოვლინდა ათასზე მეტი უკანონო სამართლებრივი აქტი, აღძრულია ასობით სისხლის სამართლის საქმე. პროკურორის წარდგინებებისა და დადგენილებების საფუძველზე დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული და ... ათასი თანამდებობის პირი, მატერიალურ პასუხისგებაში — ათასზე მეტი... ახალი ნაბიჯი ...

... გადიოდნა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

ასეთი ლაიტმოტივი ჰქონდა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომის მონაწილეთა გამოსვლებს. მათ განიხილეს გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები და პროკურატურის ორგანოების ამოცანები რესპუბლიკის 1982 წლის პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობა გააანალიზა რესპუბლიკის პროკურორმა ა. მ. ბარაბაძემ.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროკურატურის ორგანოების მუშაობის ორგანიზაცია, ამაღლდა მომთხოვნელობა კადრებისადმი, გაძლიერდა მათი ავტორიტეტი.

განხორციელებული ღონისძიებების მეოხებით რამდენადმე შემცირდა მძიმე დანაშაულობებიც — განზრახ მკვლელობისა და სოციალისტური ხელყოფის, გაუპატიურების, ყაჩაღური თავდასხმების, ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი. სავაჭრო და საბინაო ... შორის სამართალდარღვევათა რიცხვი. ... ქტიურად შეეძება სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლებს, მექრთამეებს, სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებს, ხულიგნების წინააღმდეგ. ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგიერთი სამართალდარღვევა გაუხსნელი რჩება, ხოლო დამნაშავეები — დაუსჯელნი. კოლეგიის სხდომის მონაწილეებმა პროკურორებს მოსთხოვეს გაძლიერონ ზედამხედველობა, გააუმჯობესონ თანამოქმედება მოკვლევის ორგანოებთან, უზრუნველყონ ყოველი დანაშაულის გახსნა და ბრალეულთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

ამასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაეთმო მილიციის ორგანოებში დანაშაულობათა შესახებ მიღებული ცნობების აღრიცხვისადმი ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებს. საჭიროა მკაცრად აღიკვეთოს სამართალდარღვევათა მიჩქმალვის ყოველგვარი ცდა.

კოლეგიამ აღნიშნა რესპუბლიკის თითოეული რეგიონალური ორგანოს მუშაობის არსებული კონკრეტული ნაკლოვანებანი.

კოლეგიამ პროკურორებს მოსთხოვა დასახონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი საპროკურორო ზედამხედველობის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ამ ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად.

კოლეგიის სხდომის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მუქთახორობის, ნარკომანიისა და რეციდიული დამნაშავეობის, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში კანონის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა.

კოლეგიამ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელებს მოუწოდა სრულყონ კადრებთან მუშაობა, ჩაუნერგონ მათ მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის, პრინციპულობისა და უკომპრომისობის გრძნობა, სისუფთავე და სამართლიანობა, ამაღლონ პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ პროკურატურის ორგანოები კვლავაც უნდა განვითარდნენ პოლიტიკურად მოწიფული, ... ოსანი და ინიციატივიანი მუშაკებით, რომლებსაც შეუძლიათ ... ... დამნაშავეობის და კანონის დარღვევების წინააღმდეგ ... ციურ მუშაკთაგან პროკურატურის ორგანოების წმენდის ... ცესი.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ა. შუშ... შვილი და სხვები.

შემოქმედის ხუთწლედი

ამ ნახევარი საუკუნის წინათ, გაზეთის რედაქციიდან პირველად რომ მომმართეს შეკითხვით, რაზე ვმუშაობდი იმჟამად (რედაქციათა პრაქტიკაში მაშინ ახლად შემოდიოდა, დღეს უკვე დიდი ხანია ჩვეულებადაა ქცეული ასეთი შეკითხვები), ძალიან გამიხარდა, — მაშ, ჩემი პოეტური სიტყვა მკითხველს, ხალხს დასჭირვებია; მაგრამ, მეორე მხრივ, შევშფოთდი კიდეც, იქნებ ამათ ახლა ისიც მკითხონ, ვის ვეტრფი ამჟამად მე, ეს ხომ ჩემი საიდუმლოება არის-მეთქი: „სიყვარულსა მალვა უნდა"... ასევეა პოეტის შთაგონებაც, ჩანაფიქრიც, ისიც სიყვარულია.

ასე ვფიქრობდი და ასე ვფიქრობ ახლაც.

მიუხედავად ამისა, გულითადად მივესალმები გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის გადაწყვეტილებას, შემოიღოს თავის ფურცლებზე რუბრიკა „შემოქმედის ხუთწლედი". ამ შემთხვევაში რედაქცია პოეტის საიდუმლოებას მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს, როცა ჩანაფიქრი უკვე ხორცს ისხამს.

პოეტისთვის ძნელია ხუთწლედის მანძილზე გაითვალისწინოს, წინასწარ განჭვრიტოს რას იტყვის ის ხვალ. რასაკვირველია, იგი კვლავ ფეხდაფეხ გაჰყვება ჩვენი ქვეყნის ყოველ ახალ ღონისძიებასა და წარმატებებს მთელი ხუთწლედის მანძილზე. პოეტს შეუძლია მხოლოდ უთხრას თავის მკითხველს, რა შემოქმედებითი მიზნებით ცხოვრობს იგი ამჟამად. მეც ასე ვაწვდი ჩვენს მკითხველებს პირველ ლექსებს ციკლიდან „იბერიიდან იბერიაში".

ქართულ-ბასკური ჰიპოთეზა, რომელიც დღემდე მხოლოდ რომანტიკულ, პოეტურ ოცნებათა დონეზე იყო, ახლა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მეცნიერულ დონეზე დგება ჩვენშიც და უცხოეთშიც. ეს თემა ყოველთვის იზიდავდა და მომავალშიც ანდამატივით მიიზიდავს ქართველი პოეტის შთაგონებას, ქართულ პოეტურ სიტყვას.

სწორედ იგი მიზიდავდა მეც მუდამ, და სწორედ მან გასული წლის მიწურულს ესპანეთში ჩამიყვანა, მან შთამაგონა ლექსთა ეს ახალი ციკლიც.

ირაკლი აბაშიძე

ჩვენ და ბასკები

სამი ლექსი ციკლიდან: „იბერიიდან იბერიაში"

ეს წელთა გათვლა,
ეს ორი ერა —
ქრისტეს მოსვლამდე და ქრისტეს შემდეგ —
მე აღარ მჯერა,
მე აღარ მჯერა,
როცა ვოცნებობ ჩემზე და შენზე.

ჩვენ უფრო იქით,
ჩვენი გვარ-ფესვით,
ჩვენი სიმტკიცით,
ჩვენი სიკეთით —
ჯერ რომ არ იყო ქრისტეს აქეთიც,
ჯერ რომ არ იყო ქრისტეს იქეთიც,

ჯერ რომ არ იყო
დროც და ასაკიც,
ხანა ღმერთების,
ხანა მონების;
სადაც ნანგრევთა არ ჩანს ნასახიც,
კვალიც არსად ჩანს სამაროვნების,
და სადაც მხოლოდ
ისმენ ფარულ ხმებს,
გულის ხმებს,
შენივ სისხლში მძინარეს
და სისხლიც შფოთავს,
ვით იმ პირველ დღეს,
როცა იხილავ შუამდინარეთს.

წლები, ის წლები ათასეული,
წლები ჩასახვის,
წლები დაწყების...
— ჩვენ და ბასკები — ყივის სხეული,
ჩვენ და ბასკები,
ჩვენ და ბასკები!

წლები ოცნების, წლები ლოცვების,
წლები გაძლების, წლები მარცხების...
ჩვენ და კოლხები,
ჩვენ და მოსხები,
ჩვენ და მესხები,
ჩვენ და ბასხები!

წლები განკვეთის, წლები განთესვის,
წლები შეწყვეტის, წლები გაწყვეტის...
ჩვენ და კოლხეთი,
ჩვენ და მოსხეთი,
ჩვენ და მესხეთი,
ჩვენ და ბასკეთი.

ამად უხმობდა ქირთან წილნაყარს
მოყვასს, ძახილი
მტკვრის და რიონის;
ამად ეძებდა ჩემს ძველ წინაპარს
მიწა შორეულ „ესპანიოლის".

და ამად დღესაც
შენც, შენც დაეძებ,
შენც, შენც გეძახის
მოძმის კერია
და ესპანეთის საზღვრის კარებზე
ამად აგინთებს გულს „იბერია".

რაღაც ზვიადის ნალეწ-ნაფლეთი,
რაღაც დიადის ნაკვეთ-ნასხლეტი —
ჩვენ და მესხეთი,
ჩვენ და კოლხეთი,
ჩვენ და ბასკეთი,
ჩვენ და ბასკეთი!

პირველი გამოძახილი

ლუის ჰრანგურუს ლექსზე: „ქართველ ძმას"

ათასი წლების ბინდბუნდები
უხმობს ერთმანეთს,
ჩვენ რომ დღეს შორით
ერთურთს ვუხმობთ,
ერთურთს ვეძახით —
თქვენ, ვინც ოდესღაც
ბედის გზებზე გამოგვესალმეთ,
ჩვენ, ვინც ოდესღაც
კავკასიის მთებში შევსახლდით.

ათასი წლების ბინდბუნდები —
ჩვენი ადრესი;
ათასი წლების ბინდბუნდები —
ჩვენი მშობელი;
ათასი წლების ბინდბუნდები
ჩვენი გვართესლი,
ჩვენი სახლ-კარი,
ჩვენი მოდგმა შეუცნობელი.

ეს ბედს ებარა—
ათას წლებში ჩვენ სულს დავლევდით,
თუ ათას წლებში
მთელ ამ ქვეყნის
ნაყოფს წავლეკდით...
აღმოსავლეთში სიზმრად დაგვრჩა
ჩვენ დასავლეთი;
თქვენ დასავლეთში
სიზმრად წაგყვათ აღმოსავლეთი.

და ენატრება დღეს უსაზღვროდ
თვალს გაქანება,
რომ იმ ათას წლებს
დავიწყების ნისლი განზანოს —
გზებს, გზებს დაეძებს,
საიდუმლოს ეძებს გონება,
ეძებს ჭუმანი
დასაბამისს, დაუსაბამოს,
მაგრამ ჯერ, სანამ
წლების ბინდბუნდს
მზე სხივს მოჰფენდეს,
სანამ გონებას ჯერ წინ უცდის
სამკელ-სალეწი —
გული ისწრაფის, გული ითხოვს,
გული მოქმედებს;
სული მოიწევს
დასავლეთზე აღმოსავლეთით.

გულს ეჩქარება
მისი ფეთქვა, მისი ცახცახი
პირველ ზარის ხმად
იმ ზნელ ათას
წლებში დაგზავნოს...,
გულს, გულს მოხწყურდით,
სული გიხმობთ,
სული გეძახით,
იმ ბინდბუნდებში დაკარგულო
ჩვენო და-ძმანო!

გზა ბილბაოსკენ

სურათს — სურათი,
ქალაქს — ქალაქი
მირაჟს — მირაჟი,
უბანს — უბანი...
შენ შენს ფიქრს მისდევ
შენს მანქანაში:
— ისევ იპოვის წყალს ნაგუბარი!

სოფელს — სოფელი, სანახს — სანახი,
მიწა, ნოემბრის ზეცას შემწყრალი...
შენ სულ სხვას ფიქრობ
შენს მანქანაში:
— ისევ მონახავს ბუდეს მერცხალი!

სანახს — სანახი, ქალაქს — ქალაქი,
სართულს — სართული,
სარკმელს — სარკმელი...
შენ შენს ფიქრს ფიქრობ
შენს მანქანაში:
— გზას არ დაკარგავს „სანთელ-საკმელი!"

გიორგი ლებანიძე

ამხანაგი გუბერნატორი

რამდენიმე ნაწყვეტი მხატვრული ფილმის ლიტერატურული სცენარიდან

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა ადრინდელი პუბლიკაციიდან იციან, რომ ჟურნალისტმა და მწერალმა გიორგი ლებანიძემ შექმნა მხატვრული ფილმის ლიტერატურული სცენარი „ამხანაგი გუბერნატორი", რომელიც ეძღვნება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიურ მონაწილეს, 1907 წლიდან რსდმპ წევრს, ბოლშევიკს, მეცნიერ-აგრონომსა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიკოსს, „წითელ გუბერნატორად" წოდებულ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის.

პირველ პუბლიკაციას გამოეხმაურნენ მკითხველები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ბევრმა მათგანმა ხურვილი გამოთქვა დავბრუნებოდით „წითელ გუბერნატორს".

გაზეთის რამდენიმე ნომერში მკითხველები გაეცნობიან სცენარის ნაწყვეტებს, რომელთაგან ერთ-ერთს ქვემოთ ვბეჭდავთ.

ქალაქის ბაღში წლის ყოველ დროს, ზამთარშიც კი, მუდამ ხალხმრავლობაა. ზოგჯერ, როცა თოვლიანი დღეები გამოერევა, ახალგაზრდობას აქ გუნდაობა და ციგაობა აქვს გაჩაღებული. ზაფხულობით ქუთათურები შაპანაქებას აქ აფარებენ თავს: ხეთა ვეება, ფართოდ გაშლილი შტოები სიგრილეს ფენენ. საამოა ჩრდილოვან ხეივნებში, კარავივით გადმოხურული ბუჩქების ტევრში ძელსკამებზე ჩამოჯდომა. განსაკუთრებით გამოცოცხლებულია ბაღი კვირაობით, როცა აქ გაზის ფარნები ინთება და ადგილობრივი სამხედრო გარნიზონის სასულე ორკესტრი უკრავს.

მშვენიერია ბაღი შემოდგომის ჟამს, როცა ბუნება, ოსტატი მხატვრის ფუნჯით ცისარტყელას ფერებად მოხატავს ხოლმე აქაურობას.

მაგრამ ისეთ ამინდში, როგორიც დღესაა, მოქალაქენი სახლებში ჯდომას ამჯობინებენ და თუკი აუცილებელი რამ საქმე არა აქვთ, ქუჩაში არ გამოდიან,

[illegible]

დოდა გაერტყა, მაგრამ შეძახილმა შეაჩერა:

— არ გაბედო, არამზადავ, რაო, ნაფიც ვექილზე გინდა აღმართო ხელი?!

— ხეპრეებო! ძაღლებო! — აგუგუნდა ხალხი.

ჩაფარმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ყოყმანობდა, მერე ურიადნიკს გადახედა.

დააპატიმრეთ! — ბრძანა მან.

— ესენიც მიაყოლეთ! — გვერდით მდგარი ახალგაზრდებისაკენ გაიშვირა თითი.

— უფლება არა გაქვთ!

— დაპატიმრებული ხართ! — გაიმეორა ურიადნიკმა და ერთ მათგანს ზურგში უბიძგა.

— თითი არ დამაკარო! — გაცხარდა ჭაბუკი და რევოლვერი იძრო, ჟანდარმები და ჩაფრები უმალ მისცვივდნენ, ძირს დასცეს და იარაღის წართმევა დაუპირეს. წაქცეულმა წამით დრო იხელთა და რევოლვერი ამხანაგებს გადასცა. ასე გააქრეს შეიარაღებული წინააღმდეგობის „ნივთმტკიცება".

პატრულმა აკრიფა ძირს მიმ-

[illegible]

ერა მიაპყრო ერთ-ერთ ჟანდარმს.

— აი ეს ბაღის სკამზე იდგა და ხელისუფლების საწინააღმდეგო მოწოდებას კითხულობდა, — გელიაზაროვზე მიუთითა ჟანდარმმა, — გაიძახოდა: „ძირს სისხლისმსმელი მეფე!" „ძირს თვითმპყრობელობა!" — თავისი სიტყვებისათვის დოკუმენტური სიზუსტის მისანიჭებლად, ჟანდარმმა მთელი ხმით იღრიალა.

— ჩუმად, ბრიყვო! — დაუყვირა გაჭარხლებულმა ბოქაულმა.

— ბოდიშს ვიხდი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!..

— მაშასადამე, თქვენ კითხულობდით ფურცელს, რომელიც ხალხს ამბოხებისაკენ მოუწოდებდა.. — ის იყო კვლავ წამოიწყო ოფიცერმა, მაგრამ ანაზდად სიტყვა გაუწყდა: ოთახში ჟანდარმთა ჯგუფი შემოიჭრა და აქვე, კართან გაშწკრივდა; დინჯად, ზვიადად შემოვიდა პოლიცმეისტერი ტატიევი და ... თვით გუბერნატორი სტაროსელსკი.

ბოქაული ცხროიანივით აცახცახდა, გაიჭიმა და მოახსენა:

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, ეს-ეს არის მოიყვანეს ხუთი სახელმწიფო დამნაშავე, რომლებიც ჩაფრებმა შეიპყრეს ქალაქის ბაღში დანაშაულებრივი მოწოდების კითხვისას...

მორიგე ოფიცერი მლიქვნელურად წამოიჭრა და დახლზე პროკლამაციები დადო: — აი, დოკუმენტები, ინებეთ...

სტაროსელსკიმ პროკლამაციებს ხელიც არ ახლო, თვალიღა გადაავლო.

— ბატონებო, ხომ ვერ ამიხსნით, რაშია საქმე? — მიმართა დაპატიმრებულთ. დაპატიმრებულებმა, ერთმანეთს რომ არ აცლიდნენ, დაიწყეს ჩივილი: ჩაფრები და ჟანდარმები უხეშ-

მნათ წითელი დროშით მომავალ ხალხს და პროკლამაციის მკითხველ მოქალაქეებს!

— არის, არ შევუქმნათ! — ერთხმად დაიღრიალეს ჟანდარმებმა და ჩაფრებმა.

საფოსტო მატარებელი ეს-ეს არის გასცდა ფოთის სადგურს. თანდათან უმატა სისწრაფეს. საერთო ვაგონის მგზავრები ფაციფუცით იკავებდნენ ადგილებს, თან უბოროტოდ ილანძღებოდნენ. იფიქრებდით, სწორედ ამ ჯგლეთის გამოა, მატარებელი რომ ლაყლაყებსო. ბოლოს, როგორც იქნა, ადგილები დაიკავეს, სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თავის საფიქრალს მიეცა. დიდხანს არ გაგრძელებულა დუმილი. აი, ვიღაცამ ხმადაბალი საუბარი გაუბა მეზობელს, სხვებიც თანდათან აჰყვნენ.

ფანჯარასთან მოხერხებულად მიმჯდარმა ბერიკაცმა გვერდზე მოქცეული ყაბალახი შეისწორა, მიმოიხედა და შენიშნა:

— ფუი, ეშმაკს! კარგა მაგრად დამიზილეს გვერდები... — და თითქოს ამოწმებდა, ამ ზედახორაში წვერ-ულვაში ხომ არ დამკარგვიაო, დაკოჟრილი ხელი მოისვა პირზე.

— ღვთის შიში გქონდეს, სიმონ: ეშმაკი ახსენე, პირჯვარი კი არ გადაგიწერია, — გამოეხმაურა მეორე ბერიკაცი. — ეგრე ხომ ეშმაკი ჩაგისახლდება სულში. —თქვა და თვითონ გადაიწერა აჩქარებით პირჯვარი.

— ჯანდაბას, ჩამისახლდეს, — რაღაც განწირულად, ბრაზიანად თქვა სიმონმა.

— რას ამბობ, კაცო! — გაოცდა მეორე.

— რაც გაიგონე. ახლა ეშმაკი ანგელოზზე მეტად სჭირდება კაცს.

—ჰა? ჰოო... — შეყოყმანდა

კომუნისტი

საკუთარი საკითხავი

— სულ უფრო გაცხარდა ჭაბუკი.

— შენ ჰეი, ღლაპო, ენა ჩაიგდე! — ეცა უცებ გიმნაზიელს ვიღაც ხაზინადარის ფორმიანი მოხელე: აღშფოთებისაგან ორმაგი ნიკაპი და ყურებიც კი გაწითლებოდა. — შენ ვინა გკითხავს მამა-მეფეზე ლაპარაკს! შე აგიტატორო და სოციალისტო, შენა!

— ხმა ჩაიწყვიტე, სისხლით გამძღარო წურბელავ! — დაიბუხუნა აქამდე ჩუმად მჯდარმა ახმახმა, თამბაქოს რომ აბოლებდა და ხუჭუჭა შავი თმა ფაფარივით რომ ადგა თავზე.

ბეჭებსა და დაკოჟრილ ხელებზე ეტყობოდა, რომ პორტის მუშა იყო.

— მართალს ამბობ, ბაადურ, მართალს! ეგ პარაზიტები ჩვენი სისხლით სუქდებიან! — გაისმა ხმები.

რაკი მიხვდა, აქ იქნებ ცუდი დღე დამადგესო, მოხელემ გვერდელად, აჩქარებით იწყო ვაგონის ბოლოსკენ გაძრომა. გზადაგზა, თითქოს შემთხვევით, ერთი-ორი პანღურიც ამოჰკრეს.

— ჩვენი ძალა ერთობაშია, მეგობრებო! — განაგრძობდა გიმნაზიელი. — ხედავთ, აი ასე უნდა მიიძურწებოდეს ჩვენგან მტერი!

საუბარი და კამათი ხან ცხრებოდა, ხანაც კვლავ გაფიცხდებოდა, როგორც ფიჩხშემატებული კოცონი...

ამასობაში მატარებელმა სვლას უკლო და მუხრუჭების ღრჭიალით შეჩერდა.

— ახალსენაკი! — გამოაცხადა კონდუქტორმა. რამდენიმე მგზავრმა ხელი დაავლო თავის ბარგი-ბარხანას, გასასვლელისაკენ გაეშურნენ, იქ ამომსვლელ მგზავრებს შეეჩეხნენ და კვლავ დაიწყო ჯგლეთა.

ბაქანი ხალხით იყო გაჭედილი: ერობის ორგანიზაციის თაობაზე სამაზრო შეკრების მონაწილენი ბრუნდებოდნენ შინ.

მალე მატარებელმა გზა განაგრძო. ვაგონი უარესად გაიჭედა. ზოგმა დასაჯდომი ვერ ნახა,

— ყველა დაგვაპატიმრეთ აკი მეც ვმღეროდი!

— მეც!..

— მეც!.. — გაისმა ირგვლივ ხმები.

ჯარისკაცებმა თითო-თითოდ დაიწყეს დაპატიმრებულთა ტამბურში გაყვანა. პორტის მუშას რომ მიადგნენ, წამოიმართა ახმახი, მუშტები მოიმარჯვა, მაგრამ რევოლვერის ცივი ლულის შეხება იგრძნო ზურგში.

— არ გაბედო, თორემ გესვრი! — დაიწრიპინა უნტერმა.

დედაკაცებმა წივილ-კივილი ატეხეს, შეუძახეს ბაადურ, დაემორჩილეო. მან გუნებაში შეიგინა და ჯარისკაცებს გაჰყვა.

ერთ-ერთი კუპე გაათავისუფლეს, ცხრავე შიგ შეყარეს და დაცვა მიუყენეს. ამასობაში მატარებელმა აბაშას მოაღწია. რაკი კვირა იყო და ბაზრობის დღე, ვაგზალზე ნემსი არ ჩავარდებოდა. უცებ ვაგონიდან ვიღაცამ დაიყვირა:

— ბიჭებო, ჩვენები დააპატიმრეს!

ყველა ვაგონს მიაწყდა.

— ახლავე სუყველა გაანთავისუფლეთ თორემ დავლეწავთ ვაგონს! — აგუგუნდა ხალხი.

— გველებო!

— პარაზიტებო! გაათავისუფლეთ ჩვენი ამხანაგები!

აი, გაისმა სადგურის ზარის წკრიალი, მატარებლის გასვლის მაუწყებელი. უცებ ვიღაცამ დაიძახა:

— აბა, სწრაფად, მემანქანესთან!..

რამდენიმე კაცი ორთქმავლისაკენ გაიქცა. გაისმა ობერ-კონდუქტორის სასტვენის ხმა, მაგრამ მატარებელი არ დაძრულა. მხოლოდ წამით შექანდნენ ვაგონები და მაშინვე გაჩერდნენ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! მოაცილეთ აქაურობას მოხსნილი ორთქმავალი, შორს გაიყვანეთ! ბრძანა ვიღაცამ. — სანამ დაპატიმრებულებს არ გაუშვებენ, აქედან წასვლას ვერ ეღირსებიან.

ამასობაში ჯგუფი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, შეიარა-

აღ მოგვეპყრნენ, ტყუილუბრალოდ, არაფრის გამო დაგვაპატიმრეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს, ურიადნიკმა და ბოქაულმა კი არ აღკვეთეს ეს უმსგავსოებანი და სხვ.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ მშვიდად მოუსმინა მათ, მერე

[illegible]

მეორე, — მართლაც ეშმაკი ჩაუსახლდა ხალხს სულში: აღარც ქრისტე სწამთ, აღარც მამაუფალი, აღარც მეფე.

— ქრისტე, მეფე და მამაუფალი — ეს შენა ხარ, აი ის არის, მე ვარ, საერთოდ ჩვენა ვართ, მთელი ხალხი, — შენიშნა სათვალიანმა გიმნაზიელის

[illegible]

დერეფანში დადგნენ და ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებდნენ შეკრების შთაბეჭდილებებს.

— ყველაფერი დიდებულად ჩატარდა, ბიჭებო! კაი ლაზათიანად გავაცურეთ მაზრის ხელმძღვანელობა! — ტრაბახობდა ერთი.

— ჰო, ნუღა იტყვი, იმათ ეგ-

[illegible]

ღებულიყვნენ თოფებით, ბერდანკებით, შაშხანებით, რევოლვერებით.

ოფიცრებმა ცოტა ხანს ითათბირეს, საქმე აწონ-დაწონეს და დაპატიმრებულთა განთავისუფლება გადაწყვიტეს.

და აი, ვაგონიდან მოზეიმე იერით იწყეს გამოსვლა პატიმ-

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

თეატრალური დღესასწაული სოხუმში

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ნაირფერი აფიშები ერთდროულად იწვევდნენ მაყურებელს ქართული თეატრის ახალმოსახლეობაზე და ნოდარ დუმბაძის რომანის „მარადისობის კანონის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერაზე. დღესასწაულმა მართლაც წარმატებით ჩაიარა — იგი იყო ხალხმრავალი, ხაზეიმო და პოეტური. დავიწყოთ იმით, რომ აფხაზეთის დედაქალაქში ჩამოვიდა ბევრი სტუმარი, საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობის, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წარმომადგენლები.

სოხუმში ქართული თეატრის ახალი შენობის გახსნაზე ჩამოსულთა შორის არის **საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი.**

— სოხუმის ქართული თეატრი, — თქვა მან, — ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, იგი მდიდარია შემოქმედებითი ტრადიციებით და ახლა საუცხოო შემოქმედებითს „ფორმაშია“. მით უფრო სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ახლა კოლექტივმა თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი ქავთარაძის ხელმძღვანელობით მოიპოვა ახალი შესაძლებლობანი თავისთავადობის სრული გამოხატვის, ახალი თამამი შემართებისათვის.

აფხაზეთის დედაქალაქში ქართული თეატრის ახალი შენობის გახსნა დამაჯერებლად მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაულალავ ზრუნვას ხელოვნების განვითარებისათვის, ნათლად ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს კიდევ ერთხელ მივულოცო აფხაზეთის ორი მოძმე თეატრის წარმომადგენლებს — შარახ ფაჩალიას და მიხეილ ჩუბინიძეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის მაღალი წოდების მინიჭება. ეს ჯილდო, რომელიც აფხაზეთის სცენური ხელოვნების ორმა წამყვანმა ოსტატმა მიიღო სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს, — მარტოოდენ მათი პირადი ღვაწლის კი არა, იმ თეატრების შემოქმედებითი მოწიფულობის აღიარებაც არის, სადაც ისინი გაიზარდნენ.

საღამოს კი ახალი თეატრალური ტაძრის დარბაზი პირველად მასპინძლობდა მრავალრიცხოვან სტუმრებს. ეს მოხდა ღირსშესანიშნავ წელს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის წელს და ღირსშესანიშნავ დღეს — საბჭოთა საქართველოს 61 წლის თავის დღეს.

სცენაზე კი მიდიოდა პრემიერა — „მარადისობის კანონი“ ნოდარ დუმბაძის რომანის მიხედვით, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიზო ჟორდანიამ დადგა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზი მქუხარე ოვაციით უხდიდა მადლობას მსახიობებს, წარმოდგენის ყველა მონაწილეს.

სიტყვას ამბობს **აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ალექსი არგუნი:**

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბენით დიდ დღესასწაულზე. ეს ჩვენი ქართული თეატრის ახალმოსახლეობის დღესასწაულია. მან კიდევ ერთი ნათელი სხივი შემატა აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების ისტორიას, სიხარულით აღუვსო გული რესპუბლიკის ყველა მშრომელს. მაშასადამე, ამ თეატრის შემოქმედება სცნობიათ, ჰყვარებიათ, დაუფასებიათ. მაშასადამე იგი პირნათლად ასრულებს თავის კეთილშობილურ მისიას, ეხმარება ადამიანებს ჩასწვდნენ საკუთარ თავსა და გარე სამყაროს; აზიარებს მათ მშვენიერებას და ასწავლის ადამიანობას.

სოხუმის ქართული თეატრის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია სათუთად ინახავს თავის ხსოვნაში ისეთი მაღალმხატვრული სპექტაკლების შესანიშნავ ნიმუშებს, როგორიც არის „ოტელო“, „ჰერეთის გმირნი“, „ახზორ“, „ურიელ აკოსტა“, „კიკვიძე“, „დანაყაი“, „ნაპერწკლიდან“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „ბახტრიონი“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ყარამანი ცოლს ირთავს“... ისინი იშვნენ ჯერ კიდევ სოხუმის ს. ი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კამარის ქვეშ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერთიან მეგობრულ ოჯახად შრომობდნენ აფხაზური და ქართული თეატრების დასები.

ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო დღევანდელი მოვლენის როლი და მნიშვნელობა იმათთვის, ვინც საკუთარი ხელით ქმნის სოხუმის ქართული თეატრის ისტორიას, ახალი შენობის გასაღებთან ერთად ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ თქვენ, ამხანაგებო, თითქოსდა გადმოგცეს შთაგონებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ახალი მწვერვალების გასაღები. თქვენგან მოველით ახალ შთამბეჭდავ წარმატებებსა და გამარჯვებებს, თქვენი ჩვეული ოსტატობის ახლებურ გაელვებას.

საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი გულითადად მიესალმა თეატრის კოლექტივს და **გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მილოცვა.** ო. თაქთაქიშვილმა მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს საუცხოო საჩუქრისათვის, რომელიც მათ სოხუმის ქართულ დრამატულ თეატრს მიუძღვნეს, და უსურვა კოლექტივს შემოქმედებითი წარმატებანი ადამიანთა აღზრდის, ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობის, პარტიის იდეალების ერთგულების დროშით მათი შეკავშირების კეთილშობილურ საქმეში.

ახალმოსახლეებს მიესალმნენ აფხაზეთის ს. ი. ჭანბას სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი კოლეგები, რომელთა სახელითაც გამოვიდა საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი აზიზ აგრბა.

სოხუმის ქართული დრამატული თეატრის კოლექტივს მიესალმნენ „სოხუმხელსაწყოს“ ქარხნის ბრიგადირი რ. შენგელია, ქალაქ სოხუმის მთავარი თერაპევტი ე. მირესაშვილი, პოეტი გ. გუბლია, თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი რ. სტურუა, სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი კ. ლაზარიდი. მთელი სცენა ყვავილებით არის სავსე. სოხუმის ქართული დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა და დირექტორმა გიორგი ქავთარაძემ სამადლობელით მიმართა შეკრებილთ.

ზეიმს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

თ. ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ქობულეთი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ნერგები ყირიმის კურორტებისათვის

ბობოყვათის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე გაშენებულია უკრაინის „მწვანმშენის“ სათბური. აქ გამოჰყავთ მარადმწვანე, დეკორატიული მცენარეებისა და ყვავილების ნერგები. ამავე დროს სათბურში მიმდინარეობს სახელექციო მუშაობა, გამოჰყავთ ახალი ჯიშები. ამ მხრივ განსაკუთრებით დაოსტატდნენ ე. სიჩევა და ნ. პერეპელიცა. ისინი ოცდაათი წელია ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

სათბურში გამოყვანილი მწვანე ნარგავები იგზავნება ყირიმის კურორტებზე.

ფაბრიკას კოლმეურნეობა აშენებს

ბობოყვათის კოლმეურნეობა ჩაის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელია. მოსავალი კი ყოველწლიურად იზრდება. და აი, გადამუშავებაში შეფერხება რომ არ იყოს, ბობოყვათელებმა გადაწყვიტეს საკუთარი სახსრებით ააგონ ჩაის მიკროფაბრიკა. ფაბრიკის მშენებლობა შარშან დაიწყო. ახალი სეზონისათვის იგი მზად იქნება.

ახალი სატელეფონო სადგური

დაბა ჩაქვი რაიონის ერთ-ერთი მსხვილი დასახლებაა. აქამდე აქ გამართულად არ მუშაობდა სატელეფონო სადგური. ამჟამად მიმდინარეობს 700-ნომრიანი სატელეფონო ხაზების დამონტაჟება. სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ტელეფონ-ავტომატები ამუშავდება ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ჩაის ფაბრიკებში, ტელეფონი დაიდგმება აგრეთვე 200 ოჯახში.

ახალმშენებლობანი

საკურორტო ქალაქი უფრო და უფრო შლის ფრთებს. ხანაპირო დაფარა მაღლივმა ნაგებობებმა. შენდება და მალე პირველ სტუმრებს მიიღებს 16-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტი“, ხოლო მდინარე, რომელიც ქალაქს ორად ყოფს, ახალ კალაპოტში მოექცევა.

მ. გორგილაძე.

ხელოვანთა თანამშრომლობა

„ყველაფერი ყარყატისათვის“ —ასე ეწოდება მულტიპლიკაციური ფილმების სტუდია „სოფიასა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების ერთობლივ ნაწარმოებს, რომელიც საფუძველს უყრის ქართველი და ბულგარელი მულტიპლიკატორების შემოქმედებით მეგობრობას. როგორც მულტგაერთიანების დირექტორმა რ. სისორდიამ გვითხრა, ეს იქნება ნახატი ფილმების დარგში ბულგარელი და საბჭოთა კინემატოგრაფისტების თანამშრომლობის პირველი შემთხვევა.

ფილმს ბულგარელი კინოდრამატურგის გ. პოპოვის სცენარის მიხედვით გადაიღებს ქართველი რეჟისორი მერაბ სარალიძე, რომელსაც მაყურებელი იცნობს მულტიპლიკაციური ფილმებით: „ხარისხის ნიშანი“, „უხეირო დათუნია“, „ეს გაუგებარი სიყვარულია“, „თეთრი კენტავრი“ და სხვა. ფილმს გადაიღებენ კინოსტუდია „სოფიის“ ბაზაზე.

მიმდინარე წლისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანება კიდევ ბევრ საჩუქარს ჰპირდება ნორჩ მაყურებელს, კერძოდ, მას შესაძლებლობა ექნება ეკრანზე შეხვდეს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებისა და გურამ პეტრიაშვილის ზღაპართა პერსონაჟებს, სხვა საინტერესო ნახატ ფილმებს.

ი. ჟუჟუნიძე.

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

...თავი ჭირსა არ დამრიდად

საარქივო დოკუმენტები ადასტურებს, რომ გასულ საუკუნეში ცხოვრების ძნელბედობის დროს (შავი ჭირისა და ქოლერის მკაცრი ეპიდემიები) ქართველი მამულიშვილები ხალხს მხარში ედგნენ. ამ ღირსეულ მამულიშვილთა შორის უპირველესი ილია ჭავჭავაძე იყო და ამ წერილში განხილული ორი დოკუმენტიდან ერთი სწორედ მას შეეხება (რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 504, ანაწერი 1, საქმე 634, გვერდი 32-39). ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1892 წლის ივლის-აგვისტოთი და წარმოადგენს ილიას პატაკს თბილისის გუბერნატორისადმი (იმხანად ილია სანიტარიულ მზრუნველად ყოფილა დანიშნული დუშეთისა და თბილისის მაზრებში). დოკუმენტს მიწერილი აქვს გუბერნატორის რეზოლუცია, რომელშიც მითითებულია, რომ პატაკის სათანადო ადგილები საგაზეთო მასალად იქნეს გამოყენებული. ალბათ, ამიტომაც დოკუმენტი ბევრ ადგილას გადაშლილია (ეტყობა მოხელეს მიზანშეწონილად არ მიუჩნევია ტექსტის სრულად გამოქვეყნება).

ქოლერის მეხუთე პანდემია (1883-1896 წლები) საქართველოშიც განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა. დუშეთის მაზრის სოფელ ჯილაურში 24 კომლიდან ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა 28 კაცი, თუმცა ამის შესახებ უმჯობესია თვით ილიას მოვუსმინოთ (ტექსტი რუსულიდან არის გადმოქართულებული, ამიტომ ილიასეული წერის მანერა დაცული არ არის).

„დაავადების ასეთმა სიმრავლემ, შედარებით პატარა სოფელში, ყურადღება მიიქცია და შევუდექი მიზეზების გამოძიებას. გამოირკვა, რომ ეს სოფელი, ისევე როგორც სხვა მახლობელი სოფლები, ადრევე მიღებული სანიტარიული ღონისძიებების შედეგად გაიწმინდა ნაგვისაგან. მაგრამ სოფელს არ ჰქონდა სასმელი წყალი, ვინაიდან ზემო სოფლებმა გვალვისაგან ისედაც ნაწილობრივ დამშრალი წყარო თავიანთი ბაღების მოსარწყავად გადაიყვანეს, რის გამოც სოფელ ჯილაურის მოსახლეობა იძულებული გახდა სასმელად გამოეყენებინა წყაროს კალაპოტში ჩამდგარი გუბეები, ანდა წყალი კასრებით ეზიდათ არაგვიდან. მივიჩნიე რა ეს გარემოება სოფლის უბედურების ძირითად მიზეზად, დავითანხმე ზედა სოფლების მკვიდრნი შეეწყვიტათ ბაღების მორწყვა, მოენოდებინათ წყალი და ეხსნათ ჯილაურელები ქოლერით დაღუპვისაგან. დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ჩემს თხოვნას სოფელ ახატანში და გამოუშვეს წყაროს წყალი ჯილაურისაკენ. ყოველივე ამასთან ერთად აღსანიშნავია ექიმ გედევანოვის (დავით ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი — თ. კ.) მიერ მიღებული ძალზე ენერგიული ქოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. მთელი სოფელი, ცალკეული სახლი თუ ნაგებობა გულმოდგინედ იქნა დეზინფიცირებული, ყველა ავადმყოფმა მიიღო დროული სამედიცინო დახმარება და სამართლიანობა მაიძულებს ვაღიარო, რომ ექიმმა გედევანოვმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს, რომლისთვისაც წმიდათაწმიდაა თავისი მოვალეობა და თავდავიწყებული ერთგულებით ასრულებს მას. იმასაც შევსწრებივარ, როცა ავად გახდომის საშიშროების მიუხედავად, იგი პირადად ადგა თავზე და შველოდა მძიმე ავადმყოფს.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვეცა 29 ივლისისათვის შეგვეწყვიტა ქოლერის გავრცელება სოფელ ჯილაურში და გადაგვერჩინა მისი მოსახლეობა განადგურებისაგან.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ სასმელი წყლის სისუფთავე ქოლერის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა. მე ექიმის თანხლებით დავიარე ჩემდამი რწმუნებული რაიონის სოფლები და ავუხსენი გლეხობას, რომ სასმელი წყაროების სისუფთავე ქოლერისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა. ზოგან ვაიძულებდით კიდეც ჩვენივე თანდასწრებით გაეწმინდათ წყაროს სათავე და კალაპოტი და დაეყენებინათ დარაჯები მათი დაცვის მიზნით.

ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქოლერის ეპიდემია თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, რომ მოულოდნელად 1 აგვისტოს სოფელ ზაქაროში თავი იჩინა დაავადების ახალმა შემთხვევებმა, ერთ დღეში ქოლერით ავად გახდა 4 კაცი, ხოლო შემდეგ დღეებში უფრო და უფრო მატულობდა დაავადებულთა რიცხვი. ეს ფაქტი ძალზე გასაოცრად გვეჩვენა, რადგან ახლო მდებარე სოფლებში დაავადების არც ერთი შემთხვევა არ იყო ცნობილი.

ექიმმა გედევანოვმა დროულად მიიღო ზომები. განხორციელდა ყოველგვარი სადეზინფექციო ღონისძიებანი, სოფელს მიამაგრეს ფერშალი. მე ყოველივე ამით მაინც არ დავკმაყოფილდი და ადგილობრივი პოლიციის ბოქაულთან ერთად გავემართე ამ ახალი დაავადების ადგილისაკენ იმ მიზნით, რომ გავეცნობოდი სასმელი წყლით სოფლის მომარაგების მდგომარეობას. გამოირკვა, ამ სოფლის სასმელი წყარო სათავეს იღებდა დაჭაობებული ადგილებიდან, ხოლო დინების თითქმის სამი ვერსის მანძილზე ქმნიდა გუბეებს, დაუყოვნებლივ გავწმინდეთ წყარო და შედეგიც კეთილია — სოფელ ზაქაროში შეწყდა ქოლერით დაავადება.

ამრიგად, ჩემდამი რწმუნებულ რაიონში 17 აგვისტოდან სრულიად არ არის დაავადების ახალი შემთხვევები და ეპიდემია შეწყვეტილია მთელ რაიონში.

ვერ ვბედავ ვამტკიცო, რომ სახელდობრ ეს ღონისძიებანი დაეხმარა საქმეს მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჩემს რაიონში ეპიდემია, რომელიც 10 ივლისს დაიწყო, დაავადებულთა რიცხვის მიხედვით 28 ივლისისათვის საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 17 აგვისტოს საერთოდ შეწყდა და დღეისათვის ჩემი სამოქმედო რაიონი ერთ-ერთი კეთილსაიმედო უბანია გუბერნიაში“.

თითქმის მთლიანად, უკომენტაროდ მოვიყვანეთ ილიას მიერ შედგენილი დოკუმენტი და მიზნად არ დაგვისახავს ეპიდემიოლოგიური მოღვაწეობის განხილვა და შეფასება. ჩვენი მიზანი იყო გამოგვემზეურებინა საარქივო ფონდებში გადაკარგული ერთი ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან, კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, რომ ილია იყო არა მარტო დიდი შემოქმედი, არამედ თავისი დროის უდიდესი მოქალაქეც.

მეორე საარქივო დოკუმენტი, რომელზეც გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, წარმოადგენს ამიერკავკასიის მთავარმართებელ გოლოვინისადმი გაგზავნილ პატაკს და დათარიღებულია 1841 წლის 10 მარტით. იგი შეუდგენია პოეტსა და მამულიშვილს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც მაშინ „ამიერკავკასიის მხარის შავი ჭირის ეპიდემიებისაგან დაცვის კომიტეტის“ თავმჯდომარე იყო. პატაკით ალ. ჭავჭავაძე იტყობინებოდა, რომ იგი ჩავიდა ერევნის მაზრის გოგჩის უბნის ალყაშემორტყმულ სოფელ გოუზალ-დარაში, რათა გამოერკვია შავი ჭირის მძვინვარე ეპიდემიის დაწყების გარემოებანი და დაესახა შესაბამისი ღონისძიებანი ეპიდემიის შესაზღუდავად.

...კითხულობთ ჟამთა ბრუნვისაგან ფერდაკარგულ ფარატინა ფურცელს და სიამაყეს განიცდით ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების გმირობის გამო, რამეთუ მხოლოდ გმირობა დაერქმევა იმ ხანებში შავი ჭირის ეპიდემიის შუაგულში ტრიალს და ეპიდსაწინაამდეგო საქმიანობას.

თ. კუხალაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათზე: ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვრის ერთ-ერთი კუთხე.

ვ. ვენგიურის ფოტო.

ბასკური გაზეთის ფურცლებზე

გზა კეთილი დონ კიხოტს!

ბასკურ გაზეთ „დეიაში“ დაიბეჭდა ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, პროფესორ შაბიერ კინტანას ინტერვიუ სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძესთან. მცირედი შემოკლებით გთავაზობთ ამ ინტერვიუს, რომელიც ბასკურიდან თარგმნა დ. ზედგენიძემ.

შარშან ზაფხულს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით შესაძლებლობა მქონდა მეორედ ვწვეოდი ამ მშვენიერ კავკასიის რესპუბლიკას. იმ მრავალრიცხოვანი მეგობრებიდან, რომელთაც მე კვლავ შევხვდი საქართველოში, მინდა გაგაცნოთ რეზო ჩხეიძე.

მე იგი სამი წლის წინათ, საქართველოში ყოფნის დროს გავიცანი. მან პირველი შეხვედრისთანავე მომხიბლა თავისი გულითადობით და, სხვათა შორის, მაშინვე მიმიწვია კინოსტუდიაში საუკეთესო ქართული ფილმების სანახავად. შემდეგ კი მეგობრულად გამიზიარა თავისი სამომავლო გეგმები.

საქმე ის გახლავთ, რომ რეზო მუშაობას იწყებს ახალ და უჩვეულო სატელევიზიო ფილმზე, „დონ კიხოტზე“, რომელსაც იგი ესპანელ კოლეგებთან ერთად გადაიღებს. 1981 წლის სექტემბერში, როდესაც თბილისში ვიყავი, მე და სასტუმროში ჩემთან ერთად მცხოვრები სხვა ბასკები რეზომ ქართული ფილმების სანახავად მიგვიწვია კინოსტუდიაში და ამასთანავე გვთხოვა, მცირედი დახმარება გაგვეწია ახალი ფილმის მომზადებაში: იმისათვის, რომ უკეთ ჩასწვდეს დონ კიხოტის ეპოქას და ამასთანავე უფრო ახლოს გაეცნოს თანამედროვე დასავლეთის კინოს, რეზო ჩხეიძემ ესპანეთიდან ჩამოიტანა მრავალსერიიანი ფილმი სერვანტესის ცხოვრებაზე (ბუნებრივია, ესპანურ ენაზე, გადაღებული ესპანეთის ტელევიზიის შეკვეთით). და აი, ამ ფილმის დემონსტრირების დროს მე და ჩემი მეგობარი თამრიკო ბერიაშვილი ვცდილობდით ქართულ ენაზე გადმოგვეტანა ფილმის შინაარსი და ამით ნათელი გაგვეხადა რეზო ჩხეიძისათვის ფილმის იდეა და მიზანდასახულობა.

ქართული კინოს კვირეული ბასკეთში

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ დიალოგზე რეზო ჩხეიძესთან, მინდა გაცნობოთ, რომ პატივცემული რეზოს ინიციატივით წლეულ გაზაფხულზე ჩვენ შესაძლებლობა გვექნება უფასოდ ვნახოთ 20 საუკეთესო ქართული ფილმი. მე პირადად ვესაუბრე ამის შესახებ ბატონ მარტინ იბერბიას, რომელიც ბასკეთის მთავრობის კულტურის განყოფილებაში კინემატოგრაფიის საკითხებს განაგებს. ვფიქრობ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი დაბრკოლება არ წარმოიქმნა, საქმე კეთილად დაგვირგვინდება. ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს საუბარს რეზო ჩხეიძესთან.

დიალოგი ფილმ „დონ კიხოტის“ რეჟისორთან

შ. კინტანა: როგორ გაგიჩნდათ ამ ფილმის გადაღების იდეა?

რ. ჩხეიძე: ეს იდეა ახალი არ გახლავთ. მე დიდი ხანია ვოცნებობდი ფილმზე, რომელიც თავისი ხასიათით ტრაგიკომედია იქნებოდა. ამის შესაძლებლობას კი ყოველთვის მხოლოდ „დონ კიხოტში“ ვხედავდი. მე ისიც მესმოდა, რომ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ ესპანეთში და ესპანელებთან ერთად იქნებოდა შესაძლებელი.

ამას წინათ ცენტრალური ტელევიზიით ვნახე გადაცემა, რომელიც XVII საუკუნის დასავლეთ ევროპის კლასიკოს მწერლებს ეძღვნებოდა. ამ გადაცემამ უფრო მეტად გააღვივა ჩემში „დონ კიხოტის“ გადაღების სურვილი. და წარმოიდგინეთ ჩემი დიდი სიხარული, როდესაც ცენტრალურმა ტელევიზიამ ეს ფილმი დამიკვეთა.

შ. კინტანა: რატომ არის შეუძლებელი ამ ფილმის გადაღება მხოლოდ აქ, საქართველოში?

რ. ჩხეიძე: ამას მრავალი მიზეზი აქვს, უპირველესად კი გეოგრაფიული გარემოა გასათვალისწინებელი. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს კარგად შეერწყმის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანთა ფსიქოლოგია და ყოფა-ცხოვრება, რაშიც ასევე საკმაო მსგავსებაა. მეორე მხრივ, ქართულმა კინომ, განსაკუთრებით ბოლო ხუთ წელიწადში, განვითარების დიდი გზა გაიარა და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა სწორედ ტრაგიკომედიის სფეროში.

შ. კინტანა: ვისთან ერთად იმუშავებთ ესპანეთში და რა პირობებში?

რ. ჩხეიძე: ეს საკითხიც უკვე გარკვეულია. კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია. მთელ ფინანსურ ხარჯებს თანაბრად გავინაწილებთ.

შ. კინტანა: მსახიობები?

რ. ჩხეიძე: ფილმში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ისე ესპანელი მსახიობები.

შ. კინტანა: ვინ ითამაშებს დონ კიხოტს?

რ. ჩხეიძე: წარმოიდგინეთ... მე ეს ჯერ კიდევ არ ვიცი: ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად პასუხსაგებია ეს როლი. ჩემი აზრით, იგი სწორედ ესპანელმა მსახიობმა უნდა ითამაშოს. მიუხედავად ამისა, ესპანეთის ტელევიზია მაინც საოცარი გულგრილობით ეკიდება ამ საქმეს. მათთვის სულერთია ვინ ითამაშებს დონ კიხოტს, საბჭოთა თუ ესპანელი მსახიობი.

შ. კინტანა: თუ შეიძლება, რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცნობა, ფილმის მოცულობა, ფერი...

რ. ჩხეიძე: სიამოვნებით. ფილმი ფერადი იქნება, რვასერიიანი, თითოეული სერია კი 55-წუთიანი...

შ. კინტანა: ვინ არის სცენარის ავტორი?

რ. ჩხეიძე: ფილმის სცენარი ცნობილ რუს მწერალ ვიქტორ შკლოვსკისთან ერთად დავწერეთ, რომელიც შესანიშნავად იცნობს სერვანტესის შემოქმედებას. იგი ცნობილი სერვანტისტია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ იტალიასა და ესპანეთშიც.

შ. კინტანა: რით ხელმძღვანელობდით სცენარზე მუშაობისას? რამ მოგცათ საშუალება, რომ ღრმად ჩასწვდომოდით სერვანტესის ეპოქას?

რ. ჩხეიძე: როგორც უკვე მოგახსენეთ, ვიქტორ შკლოვსკი ამ ეპოქის აღიარებული სპეციალისტია. რაც შემეხება მე, მომავალი ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით ორჯერ ვიყავი ესპანეთში, ვიმოგზაურე კიხოტაში, ვნახე ტობოსა, ბარსელონა და სხვა მრავალი ქალაქი. გარდა ამისა, წავიკითხე უნამუნოს „დონ კიხოტი და სანჩო“ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ წიგნმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შევისწავლე აგრეთვე ასორინის ცნობილი ნაწარმოები და საბჭოთა მწერლის მიხეილ დერჟავინის „სერვანტესი“.

შ. კინტანა: ადრე გადაღებულია ფილმები დონ კიხოტზე, ისინიც თუ გაითვალისწინეთ თქვენს მომავალ მუშაობაში?

რ. ჩხეიძე: რა თქმა უნდა. მათ შორის ერთი ესპანური ფილმი, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე გამოვიდა ეკრანებზე, შემდეგ გრიგორი კოზინცევის ორსერიიანი ფილმი, ასევე ესპანური სურათი სერვანტესის ცხოვრებაზე, და საერთოდ, მე გავეცანი ყველაფერს, რაც დღემდე გამოვიდა ესპანეთში ამ თემასთან დაკავშირებით.

ძიების გზა

ქართველი რეჟისორი შორეულ კარელიაში

მეხუთე წელია კარელიის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქ პეტროზავოდსკში ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწევა ქართველი რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი. იგი ჩვენი სახელოვანი რეჟისორის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის აღზრდილია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაამთავრა 1970 წელს კიევის კარპენკო-კარის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი. ამიტომაც უძღვნა თავის ოსტატს მადლიერებით აღსავსე საინტერესო წიგნი „კურსს მიჰყავს დ. ალექსიძეს“, რომელიც 1978 წელს რუსულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“. 1971-1972 წლებში ო. ჯანგიშერაშვილი მუშაობდა მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრში, 1973-74 წლებში ულიანოვსკში მოღვაწეობდა, 1975 წელს დაამთავრა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უმაღლესი სარეჟისორო კურსები, რის შემდეგაც მცირე თეატრში მიიღეს. აქ იგი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ბ. რავენსკიხთან ორ წელიწადს მუშაობდა რეჟისორ-სტაჟიორად.

1977 წელს ოთარ ჯანგიშერაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, როცა პეტროზავოდსკის რუსული თეატრის მთავარ რეჟისორად დანიშნა. უნდა აღინიშნოს, რომ ო. ჯანგიშერაშვილს ისეთი რთული პირობები და ატმოსფერო დახვდა ამ თეატრში, რომ პირველ წელს საერთოდ არაფერი დაუდგამს — მთელი დრო მოანდომა თეატრის საფუძვლიან გაცნობას, შეგუებას, ნდობისა და რწმენის დამსახურებას, თითოეული წევრის დაახლოებას, გაგებას, ყოველივე ამის შესახებ იმხანად წერდა კიდეც გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“, რომელმაც თავისი სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა თეატრში, გულდასმით შეისწავლა იქ მომხდარი ადმინისტრაციულ-შემოქმედებითი ძვრები და მხურვალედ დაუჭირა მხარი ახალი მხატვრული ხელმძღვანელის აღებულ კურსს.

„თეატრს სჭირდებოდა ისეთი კაცი, — წერდა „სოვეტსკაია კულტურა“, — რომელიც თავის თავში გააერთიანებდა მაღალ შემოქმედებითსა და ადამიანურ თვისებებს“.

აი ასეთ ადამიანად მიიღეს თეატრში ოთარ ჯანგიშერაშვილი, რომელმაც ახლებური სული შთაბერა ამ ძველისძველ რუსულ თეატრს და თანამოაზრეთა მჭიდრო მეგობრული კოლექტივი ჩამოაყალიბა. ამდენად გასაგებია, რომ ო. ჯანგიშერაშვილმა დადგა, საინტერესო ძიებებით სავსე სპექტაკლები, რომელთა სანახავად მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოდიან კარელიაში სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოლეგ ეფრემოვი, კრიტიკოსი ა. სმელიანსკი და სხვა ცნობილი თეატრალური მოღვაწენი. ეს სპექტაკლებია „სამი და“, „ძია ვანო“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ირკუტსკის ისტორია“ და ა. შ. პეტროზავოდსკის თეატრის ამ დადგმებს ყოველთვის ოპერატიულად და დადებითად ეხმაურება საკავშირო პრესა. შარშან სპექტაკლისათვის „ორი სიცოცხლე“ ო. ჯანგიშერაშვილს კარელიის ასსრ კომკავშირის პრემია, ამასთან, მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ამჟამად ოთარ ჯანგიშერაშვილი დიდი გატაცებით მუშაობს ახალ სპექტაკლზე, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. საქმე ის არის, რომ იგი პეტროზავოდსკის სცენაზე პირველად დგამს ქართულ ნაწარმოებს, სამისოდ კი შეარჩია ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, რომელიც უკვე რუსეთის რამდენიმე თეატრში დაიდგა. სპექტაკლის მხატვრად მიიწვია ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვარი მურაზ მურვანიძე, რომელთანაც უკვე კარგა ხნის შემოქმედებითი კონტაქტი აკავშირებს. ამ ცოტა ხნის წინათ ოთარ ჯანგიშერაშვილი თბილისში იყო, მ. მურვანიძესთან ერთად საბოლოოდ დაადგინა მომავალი სპექტაკლის მხატვრული გაფორმების კონკრეტული საკითხები, ამასთან შეარჩია საჭირო მუსიკალური ნაწარმოებები.

სპექტაკლის პრემიერა მარტის შუა რიცხვებში გაიმართება, როცა პეტროზავოდსკის თეატრი თავისი არსებობის 75 წლის იუბილეს იზეიმებს. იმედი გვაქვს, რომ ოთარ ჯანგიშერაშვილი ამჯერადაც ღირსეულად წარდგება მაყურებლის წინაშე და ამით კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩაწერს კარელიის კულტურული ცხოვრების მატიანეში.

გ. დოლიძე.

სურათზე: ოთარ ჯანგიშერაშვილი.

ესპანეთი—82

პროგნოზები, პროგნოზები

პრაღის გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ კორესპონდენტმა ორი კითხვით მიმართა სხვადასხვა სპორტულ რედაქციებს: 1. ვინ გავა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში? 2. ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი? რუმინული გაზეთის „სპორტულის“ (ბუქარესტი) რედაქციის პასუხი ასეთია: ნახევარფინალში გავლენ ბრაზილიის, არგენტინის, გფრ-სა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. მეორე კითხვაზე პასუხისაგან „სპორტულმა“ თავი შეიკავა. „დოიჩეს შპორტეხო“ (ბერლინი): 1. ბრაზილია, არგენტინა, გფრ, საბჭოთა კავშირი 2. ჩემპიონი გახდება ბრაზილიის ნაკრები. „ნაროდენ სპორტი“ (სოფია): 1. ბრაზილია, არგენტინა, გფრ, საბჭოთა კავშირი, 2. გაიმარჯვებს გფრ-ის ნაკრები. „ნეპშპორტი“ (ბუდაპეშტი): 1. ბრაზილია, არგენტინა, გფრ, საბჭოთა კავშირი, 2. გაიმარჯვებენ ბრაზილიელები.

ბობი ჩარლტონის აზრით

ჟარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა ბობი ჩარლტონმა ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა მსოფლიო ჩემპიონატის პრობლემების შესახებ. მისი აზრით, მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნებს არგენტინის ნაკრები, რომელმაც თავისი ინდივიდუალობა შეინარჩუნა და ფეხბურთში ევროპული მიღწევებიც აითვისა. ჩარლტონი ფიქრობს, რომ ფინალში არგენტინელებს გფრ-ის ნაკრები შეხვდება. ინგლისელ არ სწამს ესპანელების წარმატებისა, ეს გუნდი, მისი აზრით, წარსულ წლებთან შედარებით სრულიად არ გაზრდილა. ჩარლტონმა საკმაოდ თავშეკავებულად ილაპარაკა ინგლისის ნაკრების შესაძლებლობების შესახებ. „აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გამოიყენებენ თუ არა დიდ ოსტატებს მიანიჭებს უპირატესობას ნაკრების შემდგენელი მწვრთნელი გრინვუდი თუ ახალგაზრდებს“. ჩარლტონი მიიჩნევს, რომ მთელი თავიანთი ნიჭიერების მიუხედავად, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ახალგაზრდები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვერ უძლებენ მსოფლიო ჩემპიონატის სიმძიმეებს.

სატურნირო ორბიტა

სათხილამურო სპორტი. ჰოლმენკოლენში (ნორვეგია) მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დაეუფლა სიქტივკარელი სპორტსმენი რაისა სმეტანინა. იგი უძლიერესი იყო 20 კილომეტრზე რბოლაში. ვერცხლის მედალი ხვდა ნორვეგიელ ბერიტ აუნლის, ბრინჯაოსი — ფინელ ხილკი რიიხივუორის.

აფროსნობა. დიდი წარმატება მოიპოვა სოჭის აკვატორიუმში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე თბილისელმა გ. ბიგანიშვილმა. მან „ვარსკვლავის“ კლასის ნავებით ასპარეზობაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

წყალბურთი. ბაქოსა და მინსკში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. გაცნობებთ შედეგებს: ბაქო. თბილისის „დინამო“-მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 5:5, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი-ალმა-ათის „დინამო“ — 7:7, კასპიის წითელდროშოსანი ფლოტილიის კოლექტივი (ბაქო)-ლვოვის „დინამო“ — 10:9. მინსკი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-ტაშკენტის „მეწნატი“ — 13:8, შავი ზღვის წითელდროშოსანი ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი)-კიევის „დინამო“ — 8:5, მოსკოვის „დინამო“-მინსკის ასკ — 8:5.

ფეხბურთი. საკავშირო თამაშების პირველი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია: **სიმფეროპოლი.** ოდესის „ჩერნომორეცი“-ოდესის ასკ — 2:0, სიმფეროპოლის „ტავრია“-დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — 1:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-კიშინიოვის „ნისტრუ“ — 1:2; **ბაქო.** ხარკოვის „მეტალისტი“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 0:0, როსტოვის ასკ-ბაქოს ნეფტჩი — 2:0, დუშანბეს „პამირი“-კიევის ასკ — 3:1; **ერევანი.** ერევნის „არარატი“-კიროვის „დინამო“ — 1:0, ტაშკენტის „ფახტაკორი“-ცსკა — 1:1, ჯიზაკის „ზვეზდა“-ნიკოპოლის „კოლოსი“ — 0:4; **ადლერი.** მოსკოვის „ტორპედო“-ლენინგრადის „ზენიტი“ — 1:0, დონეცკის „შახტიორი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:1, ვილნიუსის „ჟალგირისი“-„შინიკი“-ვორონეჟის „ფაკელი“ — 0:3; **მოსკოვი.** მოსკოვის „სპარტაკი“-ხაბაროვსკის ასკ — 2:0, სმოლენსკის „ისკრა“-კოსტრომის „სპარტაკი“ — 2:0.

კალათბურთი. რიგაში გაიმართა ქალთა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ვეფ“-მა მიიღო კაუნასის „ჟალგირისი“ და მასთან შეხვედრაში დამარცხდა — 99:132.

ჭადრაკი. ერევანში მიმდინარე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის მერვე ტურში თბილისელმა თამაზ გიორგაძემ დაამარცხა დორფმანი, ტალი — კუზმინი. ცეშკოვსკი და გელერი დაზავდნენ. ხუთი პარტია გადაიდო. რვა ტურის შემდეგ გელერს 5,5 ქულა აქვს, აზმაიპარაშვილს — 4,5 (2 გადადებული), ფსახისს — 4 (2), იუსუპოვს — 3,5 (2), გიორგაძეს — 3,5 (1), დორფმანს — 3,5 ქულა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

„საბჭოთა ხელოვნება“ № 2

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მორიგი, მეორე ნომერი.

შემოქმედებითი ინტელიგენციის პარტიული სწავლება — ამ რუბრიკით ჟურნალში დაბეჭდილია პროფესორ ნ. ჯაშის წერილი „ძირითადი ესთეტიკური კატეგორიები“.

„თეატრალური ცხოვრების პარადოქსები“ — ასე ჰქვია ჟურნალში გამოქვეყნებულ დრამატურგ ა. ჩხაიძის წერილს. თბილისის დღევანდელ და სამომავლო არქიტექტურაზეა საუბარი გ. მარჯანიშვილისა და გ. ბაბუნიას წერილებში; ვოკალურ ანსამბლს „რუსთავს“ ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიას ულოცავენ ი. აბაშიძე და ნ. კეცხოველი.

ჟურნალში მკითხველი გაეცნობა აგრეთვე სხვა ავტორების წერილებს ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

11-დან 16 მარტამდე თბილისის სპორტის სასახლე გიწვევთ მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის წარმოდგენაზე. ნაჩვენები იქნება როკ-ოპერა ჰოაკინ მურიეტას **„ვარსკვლავი და სიკვდილი“** ანსამბლ **„როკ-ატელიეს“** მონაწილეობით.

დასაწყისი: 11 და 15 მარტს — 20 საათზე.
12 და 16 მარტს — 18 და 20 ს. 30 წ.
13 და 14 მარტს — 14 და 20 საათზე.

კოლექტიურ დასწრებაზე განაცხადები მიიღება 6 მარტამდე. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ტელევიზია

28 თებერვალი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — თქვენთვის, პატარებო!—„ცეროდენას ეკრანი“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი, 12.15 — რეპორტაჟი ხარისხის სახლიდან, 12.45 — გზებსა და გზაჯვარედინებზე, 13.05 — „საბჭოური ცხოვრების წესი“ — გადაცემა „სახე მუშისა“, 13.35 — „ბუნების კარი“, 14.20 — „ილუზიონი“, 17.00 — „ვესტნიკი“, 17.30 — „ათი ათასად ზრდილობა“, 18.30 — „კინოს სამყაროში“, 19.30 — თქვენთვის, პატარებო! — „ზღაპრის გუდა“, 19.45 — „მოამბე“, 20.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 20.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.), 23.05 — საესტრადო კონცერტი.

თეატრი

28 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ფაუსტი (37-ე აბონ. მეოთხე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი, ლილი ახალი წელი (დღისით), პამერსტის მშვენება (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სასამართლო დასკვნა (დღისით და საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — მთანი მაღალნი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ხიმღერა მაინც დამიტოვეთ (დღისით), კურკას ქორწილი (საღამოს); მეტეხის თეატრი — შვეიკი.